

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**

ქ. ბათუმი

22 აპრილი 2021 წ.

ბრძანება №01-08/16

„სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 ივნისის № 01-08/26 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 ივნისის № 01-08/26 ბრძანებით დამტკიცებულ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმაში“ და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 მუხლი:

„მუხლი 12. რეკომენდაციები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის

1. წიგნების/დოკუმენტების გამცემი პირი უნდა აღიჭურვოს ხელთათმანებით.
2. სამკითხველო დარბაზი:
 - ა) უზრუნველყოფილ იქნას ვიზიტორთა განთავსება მაგიდებთან წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, იმგვარად, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ). შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადგილების მარკირება;
 - ბ) იკრძალება ჯგუფური მუშაობის პრინციპი;
 - გ) უზრუნველყოფილ იქნას ხშირად შეხებადი ზედაპირების (მათ შორის კარის და ფანჯრის სახელურები, კიბის მოაჯირები, ლიფტის ღილაკების და სხვა) დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით არანაკლებ 3-ჯერ დღეში;
 - დ) კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება მოხდეს სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ;
 - ე) ყველა სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარითა და მშრალი ხელსახოცით;

ვ) დარბაზის შესასვლელში განთავსდეს ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70% ალკოჰოლის შემცველი ხსნარი და გამოყენების წესები (დარბაზის დროებით დატოვების შემდეგ დაბრუნებისას აუცილებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება);

ზ) გამოიყოს პირი, რომელიც კონტროლს გაუწევს რეკომენდაციების დაცვას სამკითხველო დარბაზში.

3. საცავი და სპეციალური ფონდები:

ა) საბიბლიოთეკო დოკუმენტები (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნოტები და ა.შ) გაცემამდე ითვლება ე.წ. „პირობითად სუფთა წიგნებად“.

დოკუმენტები, რომლების მომხმარებლებისგან/მკითხველებისგან ბრუნდება ითვლება „პირობითად ინფიცირებულ წიგნებად“.

ბ) გამოყენებული, მომხმარებლისგან/მკითხველისგან დაბრუნებული დოკუმენტები უნდა განთავსდეს კარანტინში 3-5 დღის განმავლობაში;

გ) საკარანტინე დოკუმენტების განსათავსებლად გამოყოფილ იქნას სპეციალური მაგიდები ან თაროები.

4. ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული სხვა საკითხები დარეგულირდეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების შესაბამისი დანართით.“.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბხსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

მაია ჭიჭილეიშვილი